

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის
ენისა და კულტურის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ენა, თარგმანი, ლიტერატურა

ენა და კულტურა
თბილისი
1999

თანამედროვე ფრანგული სასკოლო არგო და მისი ადგილი ფრანგულ არგოთა სისტემაში

სასკოლო არგო პროფესიულ არგოთა რიცხვს განეკუთვნება. ლინგვისტური კვლევის თვალსაზრისით ეს მეტად საინტერესო სფეროა, რომელიც დღემდე არაა კარგად შესწავლილი.

ბავშვებისა და მოზარდთა ენა გამოირჩევა უხეშობით; მოსწავლეებმა იციან, რომ უფროსები და მათი მასწავლებლები ამ ენაზე საუბარს უშვებენ. იგი თითქმის ოფიციალური ენა გახდა.

ჟ.-პ. გუდაიე წერს: “არგო ეს არა მხოლოდ ზეპირმეტყველებაა, იგი ასევე მიმიკაა, ჩვეების ერთიანობა, რომელსაც მთელი ლინგვისტური სამყარო და თვით სკოლაც იყენებს” (4, 10).

ჟან ალექსანდრი წერდა: “არგოტულ სიტყვას ითვისებს ქუნა ისე, როგორც ნაპოვნ ბავშვს იშვილებენ ხოლმე. თუმცა, ამ სიტყვისადმი ერთ დღეს არსებობდა წამიერი მამობრივი გრძნობა, ახლა ის ოფიციალურად შეიცნობა და სამუდამო ოჯახს დაიმკვიდრებს ხალხში” (1, 18).

ახლგაზრდები უარს აცხადებენ უფროსების მეტყველებაზე, რომ მათ დაუპირისპირდნენ ითვისებენ საიდუმლო ენას, რომელსაც უფროსები აბსოლუტურად უაზროდ თვლიან.

ზოგჯერ ადგილი აქვს გაუგებრობას

მოსწავლეებსა და უფროსებს შორის და ზოგჯერ რასაც აგრესიად მიიჩნევენ, ეს უბრალოდ გამოხატვის მანერაა, მათი ლექსიკა, მათი მეტყველება, ჩვენ შეიძლება აგრესიად აღვიქვათ.

სკოლის მოსწავლეთა და სტუდენტთა ლექსიკა მუდმივ განვითარებაშია. იგი შეიძლება შეიცვალოს ერთი ქალაქიდან მეორეში, ერთი სკოლიდან მეორეში.

რობერ ბოვე წერდა: “ახალგაზრდული არგო ახალი ენაა, მე მას ექსკუთხედის ენას ვუწოდებ, იგი ჩამოყალიბების პროცესშია, ისეთი სისწრაფით ვითადრება, რომ ფრანგული მალე მკვდარი ენა გახდება. ამ ენას სკოლაში ასწავლიან. სკოლა და უნივერსიტეტი, აუცილებელი ელემენტებია მათთვის, ვისაც სურს ახალი სამყაროს გაუვალ ტყეში შესვლა” (2, 8, 85).

სასკოლო არგო მოითხოვს შესწავლას. ეს პროფესიული მეტყველება არ ატარებს არგოტულ ხასიათს. იგი ამახინჯებს უცხო სიტყვებს. იგი მათ ამოკლებს თანამედროვე ხალხური ენისათვის დამახასიათებელი სისტემური განვითარების ტენდენციებით. უფროს კლასებში, გარკვეული რაოდენობა სიტყვებისა ნასესხებია უმაღლესი სკოლების მეტყველებიდან. ყველაზე საინტერესო და ნაკლებად ცნობილია სენ-სირის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არგო, რომელიც განვითარდა განსაკუთრებით იზოლირებულ წრეებში, რომლებსაც ყველაზე დიდი ხნის ტრადიციები გააჩნია.

საზღვაოსნო სკოლასაც თავისი არგო აქვს, რომელიც ჯერ კიდევ არაა შესწავლილი. ასევე ყველა უმაღლესი სკოლა, იქნება ეს ცენტრალური, ხელოვნებისა და პროფესიათა, ვეტერინარული, სამედიცინო, აქაც მსგავსი მდგომარეობაა. თითოეულ სკოლას თავისი არგო გააჩნია. ეს მეტ-ნაკლებად დახურული სისტემაა, რომელიც თავისებურებებს ცალკეული მეტყველებისაგან იძენს. ლინგვისტები მათ სპეციალურ ენებს უწოდებენ. ევროპაში სასკოლო არგოს მიაკუთვნებენ ნაკლებად მოძრავ ენათა ჯგუფებს. სოციოლოგთა თვალსაზრისით, არგო ეს სოციალური დაცვის მექანიზმია იმ ჯგუფების მხრიდან, ვინც საზოგადოების მიერაა გარიყული. სტუდენტი ოჯახში, კაფესა თუ თეატრში, როდი იყენებს თავის არგოს. თუ ბავშვები სკოლაში ანდა სახლში ქმნიან სოციალურ ჯგუფს, ის ნაკლებად ავტონომიურია.

მასწავლებლისაგან თუ მშობლისაგან თავდაცვის საშუალება სუსტია. სკოლის დანიშნულებაა ის, რომ მოსწავლეებს მიაწოდოს აუცილებელი ცოდნა ფრანგული ენის ეფექტური ფლობისათვის.

არგო თოთქოსდა სწრაფად განიცდის განახლებას, გარკვეული მოდის მიხედვით, რომელმაც ფართო ხასიათი მიიღო დღეს, რადგანაც მას სწრაფად ითვისებენ მას მედიის მეშვეობით.

ლიცეუმის მოსწავლეები არგოს იყენებენ თვით საშლელისა და ფანქრის გამოსახატავად. ეს ადასტურებს მათ სურვილს, გამოეყონ თავიანთი საქციელით უფროსების სამყაროს. აქედანაა სკოლებისა და სხვადასხვა ჯგუფებისათვის დამახასიათებელი არგოს კოპულარულობა. ახალგაზრდების და კოლეჯის მოსწავლეთა არგოსადმი დამოკიდებულება რთულია და გარეგნულად საპირისპირო. ერთი მხრივ, ისინი აქტიურად გამოეყენებას მოითხოვენ, მეორე მხრივ, ისინი აცხადებენ, რომ ეს არაა ფრანგული.

ჟორჟეტ ბენსიმონ-შუკრუნი წერს: “ჩვენი მოსწავლეები ამ სიტყვების შესახებ ამბობენ, რომ ისინი უხეშია, გულგარული, ხოლო ისინი ვინც მას იყენებს, ცუდი აღზრდა აქვთ მიღებული” (3, 91).

სტუდენტები არგოს არ ითვისებენ, როგორც ამას კოლეჯის მოსწავლეები აკეთებენ. მათი სიტყვები შეთანხმების გზითაა მიღებული და ხასიათდება გულგარულობით.

უმაღლესი სკოლის არგო ნაკლებად სწრაფად ვითარდება, ვიდრე სხვა ტიპის არგო. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ის სივრცე, სადაც ის გამოიყენება ჩაკეტილია. ალბერ დოზას აზრით, სასკოლო არგო არ წარმოადგენს საიდუმლო ენას მასწავლებელთათვის, ისევე როგორც ბოროტმოქმედთა ენა პოლიციისათვის (5, 43). სასკოლო არგოს ლექსიკა არ გამოიყენება ყველა მოსწავლის მიერ, მაგრამ ის ყველასათვისაა ცნობილი. სასკოლო არგო გამოირჩევა

უხვი ექსპრესიული ლექსიკის არსებობით. მასში ჩანს საგნის ან მოვლენის დადებითი თუ უარყოფითი შეფასება. ახალი სიტყვები ძირითადად სუფიქსების დართვით წარმოიქმნება. ეს სუფიქსებია: -iste; -eux; -ard; -ot(otte); -aille; -ingue(igüe); -ier(ière); -on; -et(ette); -uche; -igo; -in. მაგალითად: barbiste-ნიშნავს სენტ-ბარბის სახელობის კოლეჯის მოსწავლეს; compotte-წერილობითი მისაღები გამოცდა; reffingue-სასადილო და სხვა. რაც შეეხება პრეფიქსაციას, სასკოლო არგოში სხვადასხვა ტიპის პრეფიქსებია გამოყენებული. ესაა: ba-; be-; ri-; re; მაგალითად: bégaler-regaler-გართობა, ქეიფი; bagoter-ragoter-ჭორაობა; rocolat-chocolat-შოკოლადი; სასკოლო არგოში საკმაოდ გავრცელებულია სიტყვების ტრონკაცია ანუ შეკვეცა, მისი სახესხვაობებით აპოკოპითა და აფერეზით. მაგალითად: géo-géographie; quette-casquette. ადგილი აქვს აგრეთვე სიტყვათშეერთებას. ორი სიტყვა ისე უერთდება ერთმანეთს, რომ ერთი სიტყვა იკვეცება და მას ერთვის მეორე სიტყვა, ანდა ორივე სიტყვა იკვეცება. მაგალითად: fouloc--fous le camp-გაეთრიე; cunu-calcul numérique-ციფრობრივი გამოთვლა. არგოს ლექსიკა იყენებს სინონიმურ სიტყვათწარმოებას, სიტყვამ tête თავისი ფორმის ასოციაციით სასკოლო არგოში უამრავი სინონიმი შეიძინა. ამ მნიშვნელობით გამოყენებულ იქნა ხილის თითქმის ყველა სახეობა. მაგალითად: pêche, pomme, citron, cerise.

სასკოლო არგოსათვის დამახასიათებელია მეტაფორიზაცია, სიტყვათა გადატანითი მნიშვნელობით ხმარება. ეს სწორედ ის ხერხია, რომლითაც სინამდვილის საგნებისადმი და მოვლენებისადმი შეგვიძლია გამოვხატოთ დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება. მაგალითად: ancien-ლიტერატურულ ენაში ნიშნავს ძველს, სასკოლო არგოში III კურსის სტუდენტს; baderne-ძველმანია, სასკოლო არგოში ნიშნავს-რექტორს; pomper ნიშნავს ამოტუმბვას,

სასკოლო არგოში ნიშნავს გადაწერას. ხატოვნება დამახასიათებელია არა მარტო ცალკე სიტყვისათვის, არამედ მთელი გამონათქვამისათვისაც. ყველაზე მეტად იგი ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ახასიათებს. მაგალითად: pompier malheureux-ცუდი მოსწავლე; faire amphi-შეკრება; être comme les blés-უფულოდ ყოფნა.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა ანალიზმა, საშუალება მოგვცა პირველად არგოტოლოგიის ისტორიაში ჩაგვეტარებინა სასკოლო არგოს თემატური კლასიფიკაცია და გამოგვეყო 5 თემატური ჯგუფი: 1. სასკოლო დაწესებულება; 2. სასწავლო პროცესი; 3. სასწავლო ნივთი; 4. მოსწავლე-მასწავლებელი; 5. მოსწავლე ყოველდღიურ ცხოვრებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Jean Alexandre-L' argot de la prostitution, Paris, 1987, Clichy Nigel, Gavin;
2. Robert Beauvais-L' Hexagonal tel qu'on le parle, Paris, 1973;
3. Georgette Bensimon-Choukroun-Les mots de connivence des jeunes en institution scolaire, Sorbonargot-pp. 80-94;
4. Jean-Pierre Goudailler-Comment tu tchatches! Maisonneuve et Larose, Paris 1997;
5. Albert L. Stein-L'écologie de l' argot ancien, Paris, 1974, A.G. Nizert.

Kétévan Djachy

L'argot scolaire moderne et son rôle dans le système des argots français (Sommaire)

Le présent article concerne la détermination de la place de l'argot scolaire dans le système argotique. L'argot scolaire appartient à

l'argot professionnel. Du point de vue de la recherche linguistique, c'est un domaine intéressant qui n'est pas bien étudié jusqu' à présent. Chaque école a son propre argot. L'attitude à des jeunes à l'égard de l'argot est très compliquée. D'une part ils l'utilisent très souvent, d'autre part, ils déclarent que ce n'est pas le français. On caractérise aussi les particularités lexico-phraséologiques. L'argot scolaire appartient au style parlé et son lexique coule de diverses sources. La valeur affective et expressive d'un mot dépend des nuances sémantiques supplémentaires, exprimant l'émotion que fait naître tel objet ou tel fait, l'appréciation de cet objet ou de ce fait par le sujet parlant. Cette propriété pragmatique est liée à la structure morphologique du mot. Dans ce genre de lexique il existe des mots dérivés à l'aide des suffixes diminutifs, péjoratifs ou affectifs. L'expressivité caractérise non seulement chaque mot, mais aussi les unités phraséologiques. La première fois dans l'histoire de l'argotologie il a été possible de classer les unités lexicales et phraséologiques, d'après les groupes thématiques suivants: 1. Bâtiment d'études; 2. Matériel scolaire; 3. Processus d'études; 4. Professeur- élève; 5. Élève dans la vie quotidienne.